ოქმი:**ო08. 3724327001**

თარიღი:**22/11/2024**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 20 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია, გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2025 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, 2025 წლის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება 41130.0 ათასი ლარით, შემდეგ თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების,ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლისა და განხილვის საგანია. პროექტის მიმართ კიმისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები კერძოდ:-პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები დასაზუსტებელია. პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი

მოქალაქეებისთვის.ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი